სასწავლო კურსის სრული დასახელება: საოჯახო მედიცინა
მოცულობა ECTS-ით: 5კრედიტი
სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს საოჯახო მედიცინის არსი, „ოჯახის ექიმის“, როგორც სპეციალობის თავისებურებები და ოჯახის ექიმის როლი პირველად ჯანდაცვასა და საერთოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში; დაანახოს მას ოჯახის ექიმის საქმიანობის ყოვლისმომცველობა და მრავალფეროვნება; ოჯახის ექიმის პრობლემების გადაჭრის სპეციფიკური უნარი, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დაავადებათა პრევენციასთან, მწვავე და ქრონიკული დაავადებების მართვასთან. ამასთან, კურსი მიზნად ისახავს შექმნას ოჯახის ექიმის დადებითი იმიჯი და გააღვიძოს სტუდენტებს შორის ამ სპეციალობისადმი ინტერესი.
სწავლის შედეგი: სასწავლო კურსის გავლის შედეგად სტუდენტმა უნდა იცოდეს: პირველადი ჯანდაცვის განმარტება და მისი მახასიათებლები; პირველადი ჯანდაცვის ადგილი და მნიშვნელობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობა და ამოცანები პირველად ჯანდაცვასთან მიმართებაში; ოჯახის ექიმის კომპეტენციები და ფუნქციები; პაციენტზე ორიენტირებული კომუნიკაციის მეთოდები სამედიცინო კონსულტაციის დროს. პაციენტის კონსულტაციის თეორიები და მეთოდები. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მეთოდები. სამედიცინო კონსულტაცია განსაკუთრებულ საკითხებზე: როგორ შევატყობინოთ პაციენტს ცუდი ამბები; პრევენციის ტიპები და პრინციპები. პირველადი, მეორეული და მესამეული პრევენცია. ასიმპტომური დაავადებების სკრინინგი; ქრონიკული პრობლემების მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე; ხანდაზმული და უნარშეზღუდული პირების ჯანმრთელობის პრობლემების მართვა პირველად ჯანდაცვაში; ოჯახის ექიმი და პალიატიური მზრუნველობა; ოჯახის ექიმის საქმიანობის ეთიკური და სამართლებრივი საკითხები.
სტუდენტს უნდა შეეძლოს პრობლემაზე ორიენტირებული სამედიცინო ჩანაწერების წარმოება (პრობლემაზე ორიენტირებული ჩანაწერები; SOAP მეთოდი) და კონკრეტული კლინიკური შემთხვევების დამუშავება აღნიშნული მეთოდის გამოყენებით; გერიატრიული პაციენტის შეფასება; ხანდაზმული პაციენტის ყოველდღიური ცხოვრების აქტიურობის კომპონენტებისა და ინსტრუმენტული აქტიურობების კომპონენტების შეფასება (ADL, IADL); პირველადი ჯანდაცვის დონეზე ექიმის საქმიანობისას წარმოქმნილი სირთულეების ანალიზი, ეთიკური პრობლემის თუ დილემის გამოყოფა და მისი გადაჭრის გზების დასახვა თანამედროვე სამედიცინო ეთიკის პრინციპებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.